



თეატრი

№ 47 საყოველ-კვირთა ხალიტერატურა და საქსატურა კაზეთი. № 47

ბიოგრაფიკული ბიოგრაფიკული კრიტიკით 1886 წელსა.

უასი ვაზეთი „თეატრი“-სა კრთის წლით... 5 მან. X სსსეკარ წლით ... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონტორაში აწყოქისკულ ქარვას. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანჯაქსთან.

ცალკე ნუმერი ვაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაზ.

ისუიდეხა: თბილისში: ხარკვიანის წიგნის მალაზიაში, შვერდოვის სააგენტო კონტორაში, აღიხანოვის პ პიროზის მალაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მალაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორრესპონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან. რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით ეყვნენ დაწერილნი.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში იხახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გავზავნას რედაქცია არ კისრულას. ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галлерей бнвъ. Арцруни № 110.

ქართული თეატრი

ბენევისი მ. საფაროვი-აბაშიძისა. დღეს ქართულის დრამ. დასისავან წარმოდგენილი იქნება:

I დაკი და რაბა

კომედია 3 მოქმედ., ფრანკუზ. გადმოკეთებული თ. დავ. ერისთავისავან.


II პირველად ბარჯალა მასწავლებლო!

ვოდვევილი 1 მოქმედ., გადმოკ. მ. საფაროვი-აბაშიძისავან.

მოთამაშენი: ქქ. საფაროვი-აბაშიძის, კაბუნიაცვარდისა, ლეონიძისა, ბბ. აბაშიძე, ალექსე-ქესხიევი, აწყოქელი, ცვარელი და სსვ. დასაწყისი სწორეთ 7 1/2 საათზე.

მა-თული თეატრი

ქართული დრამატული დალი ჩვეულებრივად მეკადინეობს და დღე-დღეზე უფრო მეტს მაკურებლებს იწვევს თეატრში, ამიტომ იმეღია, რომ ხალხი თან-და-თან უფრო შეეჩვევა თეატრში სიარულს. მაგრამ ერთი გარემოება ხალხის ასეთს თანავრძობას ცოტა არ იყოს ფრთებს შეჭკვეცავს. საქმე ის არის, რომ აგერ მესამე თვე გაღის რაც ქართულ. დრამატ. საზოგადოების დასი წარმოდგენებს მართავს. აგერ მეთოთხმეტე წარმოდგენა სრულდება, მას აქეთ რაც სეზონი გაიხსნა და ჯერ ჯერობით ერთი ახალი პიესაც არ უნახავს ჩვენს თეატრს. ჩვენის აზრით ეს



გარემოება დიდ დანაშაულებად უნდა ჩაერიცხოს ღრამ. კომიტეტის გამგეობას... ჩვენ გამოგვტყუდებით და გულწრფელად ვიტყვი, რომ თუ ღღეს ხალხი თეატრში დაიარება იმიტომ კი არა, რომ თეატრის საქმე მარცხსა საგანგებოდ იყოს დაყენებული, არამედ იმიტომ რომ ხალხი გონების თვალთ უყურებს თეატრს, გრძობს რომ თეატრს დახმარება უნდა და ამიტომ არც ღრამს და არც ფულებს ზოგავს.

მართლაც, რომ დავაკვირდეთ, რა უნდა იწვევდეს ხალხს თეატრში? მართალია, ჩვენი დასის არტიტები მეტად ხელოვნურად თამაშობენ და ყოველთვის სასიამოვნოა მათი ნახვა სცენაზე, მაგრამ რაც გინდა დახელოვნებული დი სასიამოვნო თამაშობაც იყვეს, თუ კი ხშირად იმეორება, ხელოვნებას ფასი ეკარგება და საიამოვნების სიმართლაც მალე ჩლუნგდება. ტყვილად კი არ უთქვამს ჩვენს დიდებულს პოეტს: „ოდეს ტურფა გაიფდეს აღარ ღირდეს არცა ჩირად“!

საზოგადოთ ჩვენს თეატრში სულ ერთი და იგივე ხალხი დაიარება და ამიტომ საკვირველი არ არის-რა, რომ ეგელა მაყურებელმა კარგათ იცის რას იტყვის ამ და ამ სცენაში მ. საფარ-აბაშიძისა, როგორ კისკისა მორთამს, როგორ ის სიკვლუსით გადმობღვერის ხალხს, კარგათ იცის აგრეთვე როგორ გაშლის ხელებს ნ. გაბ. ცაგაროისა, სად დადგება, როგორ მიყრის კოქოლას, ან რა სასაცილო სხვის ჯაიკეთებს ე. აბაშიძე, ან კიდევ რომელ ადგარს წაივლებს ხელს თმაში მესხიევი და სხვა-და-სხვა. იმ პიესებს, რომელთაც ღრამ. კომიტეტი უწყალოდ აჯაგლაგებს, ყოველი მაყურებელი იცნობს და ბევრმა ზეპირათაც იციან მთელი სცენები, მონოლოგები და დილოგებიც. მაშ რაღა დარჩა ხალხის მოსაზრდევლად? თითქმის არაფერი.

რით უნდა აიხსნას ასეთი უყურადღებობა რეპერტუარის შესახებ ღრამ. კომიტეტის მხრით? ნუ თუ ახალი პიესები არ მოიპოვება. თუ ორგინალური არ არის, ნათარგმნი და გადმოკეთებულები ხომ ბლომად იშოვება. ამობენ ნათარგმნი პიესებზე ხალხი არ დაიარება. ჩვენის ფიქრით ეს შემცდარლი აზრია. ჩვენ ხშირად დავსწრებივართ გადმოკეთებული (ესე იგი გადმოთარგმნილი) პიესებს და ხალხიც ბლომად გვინახავს თეატრში. ან იქნება ახალი პიესები იყვეს და კომიტეტს შრომა ეზარება? ახალი პიესების მოძიება? მოთამაშების გაწურთნა და სხვა. მაშ რაღა მაქნისა ტეატრის რეჟისორი? ერთის სიტყვით კითხვები ბევრია და პასუხს კი ვერც ერთს კითხვაზე ვერ მ ვიდებთ. ასეა თუ ისე, მაინც, ყოველ შემთ-

ხვევაში კომიტეტი სუსტობს და ეს სასურველ ვგონებთ სამუდამოდ სწეულებად გადაეცევა.

ღრამ, რომ კომიტეტმა რეპერტუარზე მოიფიქროს, თორემ სეზონი თავდება, სულ თხუთმეტი-ღა წარმოდგენა დარჩა სეზონის ბოლომდე და თუ ნახევარ სეზონში და თორმეტი წარმოდგენაში ერთი ახალა პიესა არ იყო დადგმული, არ გვეგონია, რომ მომავალშიაც რამე გამოდნეს... ამიტომ ნურავის ნუ ეწყინება ჩვენი გულწრფელი შენიშვნა და ვისაც სურვილიც აქვთ და ღონეც მოსდევთ—იგულისხმონ.

ვალიყო—ია.

მაისის დღია.

ვიმ! ამ მშვენიერს მაისის დღიას,
გულის მომალსენს, ჭმუნვის გამჭრბუქს,
ვიმ! ამ შვენიერს მდიდრულად მორთულს,
განთა ცხოვრების გამაღვიძებულს.

ვიმ! ამას ვუვთა ვაზმულთ ყვაილით,
ათის გვარ ფერით შესაგებულსა.

ვიმ! ამ სამოთხის ნამდვილსა სურათს
განთა ოცნების აღმამგრუნელსა.

ხარობს ბუნება, ჭკვიანს მცენარე,
ბაღში ტურფად იშლება ვარდი,
აღამიანსაც ამ სურათის მჭკრეტს
გულიდამ სრულად კერება დარდი.

ვიმ! ამას სურათს განმამხრეკებულს,
უტყუარს წინდას გაზაფხულისას,

ვიმ! ამ ღამას თვეს ნამდვილსა თავს მდებს
ბუნების კვალად განახლებისას.

ქაიხოსრო გელოვანი

**

გაგიმარჯოს ნაცნობო,
სიყრმით ჩემო ცნობილო,
მეგობარო სატრფოვო,
ამსახვათ სმობილო!

შენი ნახვა მწუერაინ
მინდა მოგესალამო
და დაკადილს წყულებსა
მით გუმსადო მასამო.

თუმიც შორსა ვარ შენზედა
და აწსად აღარ გხვდები,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ გულით და გონებით
მანც მიახლოვდები.

შენსედა მაქვს მარადის

განუწყვეტლად უბნობა

რა თვალ-წინ მესტება

შენი გულ-წრფელი გრძნობა.

შენთან ტკბილი ბასი,

გულის დამატკბობელი,

ამხსნავური რჩევა,

სამამ საგრძნობელი

ამათ ყველას ვაკლივარ

რა თვლით კვლავ გნახე,

მაგრამ კი ერთგულება

დრმათ გულში დავიმარხე

ოდეს განვლი სარბიელს

მცირეს სიცოცხლისას

უგანასკნელს ოხვრებსა

მწარეს შავის დღისასა, —

იმას შენ ჩავაბარებ

შენ გარდასტრედე სხვათა

და მით აუღელვებდე

მათ გულში ცრემლის ზღვათა.

რომ ამ სოფელად მრავალი

გნახე უწყობა,

დახავარს სიმართლის წილ,

უმგზავსო უღმრთება.

საწყვადი ფეხით მქელავი,

განმქრალი სათნობა,

სიცოცხლეს მიწამდავდა

ეს წამხდარი დროება.

სადღა გითხრა რაკვარად

ბედმან გზა დამიცარა

და ეს უნდო სიცოცხლე

უღმრთოთ გამიმწარა.

მანც კიდევ ნასვამდის

სრულად არ გუთხოვები

შენთანა ვარ მარადის

არ ჩამოგუთხოვები!..

ვ. ნინო ორბელიანისა.

წერილი აგვაგი

ჩვენ შეუიტყუთ, რომ ბ. ალ. ცაგარელს თავისაგან
შედეგნილი ქართული ძველი წიგნების კატალოგი ცა-
ლვე წიგნად დაუბეჭდია. ამ კატალოგში ჩამოთვლილია

ყველა ის წიგნი, რაც მას აკრუსალიმის ქართულ-სა-
ჯვარის მონასტერში უბოვიაო. კაი იქმნება, რომ ბ.
ცაგარელმა კატალოგი შეტერბურგიდამ თფილისშიანც გა-
გზავნოს გასაყიდათა.

* * ამ დღებში ჩვენ ვნახეთ ერთი ძველი ხელთ-ნა-
წერი წიგნი, სახელდობრ—საზოგადო გეოგრაფია, და-
წერილია ჩვენის გეოგრაფის ვახუშტის ხელთ, ხელთ
ნაწერში სხვათა შორის ჩართულია საზოგადო რეკა,
რომლის დასტავაც საკუთრივ ვახუშტის ხელს ეკუთვ-
ნის. წიგნის დაწერა ბიეწება 1776 წ.

* * თფილისის სემენარიის მახლობლივ, ამ ბო-
ლოს დროს სახალხო სამრევლო სკოლა დაუარსებიათ.
ამ სკოლაში ასე უცბათ 40 შეგიადზე მეტი სწავლის
მისაღებათ.

* * წანსულს კვირას, მიხაილოვის ხიდზე ერთმა
შინაურმა ფაეჭონმა ერთი შატრა ბიჭი გაიტანა. ბიჭს
ზედ ყელზედ გადაუარა და ცოცხალ-ძველარი ბავშვი საა-
ვად მყოფოში წაიყვანეს

* * თფილისში აღმოჩნდა ორი შატრა სომხე-
რი ლოცვანები, ლოცვანები ერთი ეგზემულიარა დაბეჭდი-
ლია 1820 წ. მეორე 1845 წ. ორივე ქართულის ასო-
ებით არის ნაბეჭდი, ერთის ლოცვანში სიტყვები-კი სო-
მხურია და მეორეში-კი მთლათ სიტყვებიც ქართულია,
ე. ი. სრული თარგმანია სომხურს ენით ქართულს
ენაზე ამ გვარი წიგნები ჩვენ მხელად შეგემთხვევია და
ამიტომ ვსწერთ აქ ამის შესახებ.

ხალხური ლექსები.

მე რომ ზარდაცს ვიყავი, ხელში ავიღე შოლტია,
მეზობლებს გამოვეთხოვე. ჩამოვარივე შროშტია;
მანხანაში რომ მიველი წყალი იყო მეტად ძვირი,
შატარდალს წყალი ვთხოვე—წყალზედ განლავთ ჩვენი ვირი;
გაციინა, გამაციინა, დამანახვა თეთრი კბილი,
უბეში ხელი ჩაიყო, ამოიღო ლეღვის ჩირი;
— აჭა, უმაწვილო, მიირთვი, ნახე როგორია—ტკბილი,
უხუმიანდ მეუბნებოდა: შეიყვაროს შენი ჭირი!
— შენ ჩემი ჭირი რათ გინდა, ასეთ ალგას წავიყვან
ილი, მისაკ — დარიჩინი, ასლო ჩამოგვიღის წყალი,
აღარ მოგინდება ვირი, დაიძინე დილის ძილი.

(შერევილი ლაგრენტი დოლოფობისაგან.)



მოსწრებული სიტუვა.

ერთხელ ჩვეულებრივი თავ-შესაქრევი საღამო იყო ს. ნ. სახლში გამართული, სხვათა შორის ჩვენი ჰატო-ცემული მამიაც იქ იყო. ათი საათის ნახევარი იქნებოდა, როცა გ. მ. შემოვიდა და ყველას დამაფიქრებელი ანბავი უთხრა: მ. უკანასკნელი დროზედ არისა

- რა დავითათ; ჭკითსა ყველამ.
- ესლა ვ—ნი ექიმი იყო და სთქვა ტუინის ან-თება აქვს და საშიშაია.
- მაგ ვ—ნსაც უმტყუნია, თორემ ტუინის ან-თება როგორ უნდა განხრდეს, ტუინი რომ არ მოკშო-ბოდეს! მიუგო იქვე მღვდომის მამიამ.

— ვარისის თუტრალურს კრიტიკოსს გამოხენილ საჩსეს მღიერ დიდა უერები აქვს. ერთხელ ვიდაცას ეს საჩსესთვის შეუნიშნავს.

მართლს ბრძანებთო, — მიუგო საჩსემ — ჩემი ყურე-ბი ცოცხა არ იყოს მოდიდა ადამიანისათვის, მაგრამ დაწმუნებული ვარ დამეთანხმებით... რომ თქვენი ყურე-ბი მღიერ ჰატრება ვარისათვის!

იმერეთში გაგონილი *)

დიდებულთ ხელმწიფეო, მადლო და ღამთ-ჭკელთ: გვარ-ტომობით ხარ განთქმული, სოლომონის სიბრძნის მცველო, გულ-ჭკელთ და მართლ-მსაჯულთ, მტერ ორგულთა ზარ დამცემო, და ქარივსა ობლებსა შემნახველო-გამომწრდელთ.

სიმაღლის მოწყალებითა, თავს გდგას გვირგვინი სეცი-თა, დაიმხოს თვენი ორგული, ვინც თქვენზედ იყოს გვენი-თა; უფალმან სრმალი გიგურთისა, მტერს გულს დასო ჭე-სითა, და ნატრმლიდგან გამაყლდეს, არიან მების ტენილთა.

*) ეს ლექსი, პირადი გადმოცემით, წულუკიძის ქალს-ქა-ფიას ქვრივს, რომელიც შესამჩნევი ლამაზი ყოფილა, უნდა მიეწეროს დიდის თავადისთვის, რომლის ყურადღება დაუშვანურე-ბია ქვრივს საღამოზე. მაგრამ ეს კი ვერ მითხრეს რომელი თავადისთვის ხან როდის?

ნუ მოაკლებ სიმაღლესა განამრავლე მოწყალებითა: მე ქარივი ვარ შემოწინარე არასი მატეს მოგვარება, ჯამაგირი განმინიკე, მიუგო სეკდის მოქარება, და ასეთს არას გამოკითხოვ, არ შეგეძლოს მოხმარე-ბა...

ცხოვრებასოცი და თავსარიკი მომერ გაგრული დაფითა, შლიაშა დაადე მახედა, არ გავეწენო შხაბითა. თაღნი კაბა და საგულე საზრულ-ქობითა, ძაფითა — და რაც ვითხოვ ვარს ნუმიქ, მიბოქე ფიცხლავ, სწრა-ფითა.

ქათბისას არ ჩავიცვამ, სასაობს გრიხეს ვადე, საწვიმასას და ტოლომას, სარტყელს, ზუბუნს გარდა-მოვლიადე; მოვიას და შეიდას თხოვნას ძლივსა გაგებადე, და მაგრამ არ ვსთქვას არ იქნება, ვინ მომცემდეს თქვენ-გან ვადე.

თავით ფუნდო შემოსე; დაადე წადამა, თქვენი საუნჯე იქნების არ ჩავარდნილი წყალშია, არც განიყოს მდილთაგან არც ქურდის მოხარება, და წყალობა აღარ დირს მიწალობს, ვინც მეტად იქ-ნეს გვარშია.

ნუ მოაკლებ ხელმწიფეო, ქვეშაგებულს, ბუმბულს, სახანს ბალიშსა და დორის ვინსა, შესადებათ წიგნით ხამბას; ორხაოს და ზენწარესა, ეგრე ღმერთი ცოდავს გაგბანს, და ქაბსა, თუნგსა, ტაფა-ტაშტას და წურწურსა ხელის სა-ხანს

საჭმლის მასალასაც ვითხოვ დიდებულის ბატონისაგან; მისაგას თა დარჩინისა ვერ დამაკლებ ერთისაგან! ილ-ზაფრანას, დარის ფორთხელს ვიფიცხები სხუებისა-გან, და ჩაისა, ჩაის უავს ხშირათა ვსვამ სეკდისაგან.

მახედ მიბოქე მეფეო, უცხო ქვეყნისა ხილია: ნუმი, ნულდი და ქიშიში საჭმელათ არის ტკბილია; ინდოეთელ ხუმელს ვეწუობი, შორი გზა აქვს მოვლი-ლია, და შაქარი, შაქრის ყინული მილიდგან გატეხილია.

ივ-ნ ქიქე



თეატრის კვირა

მოკმედება მეორე.

ბალი მანასეს ვილლაში, სტენის უკან ნაწილში ესტარდა, რომლის კიბესაც რამდენიმე საფეხური აქვს.

გამოსვლას პირველი

მანასე (კითხულობს ქაღალდს) და სვიმონ.

მანასე.

არა მგონია, არას გზით არა,
რომ ის მოვიდეს!.. სილვა, დე კასტრო,
ბენ-იოსაი, ვან-დერ-ემბდენი, —
ეს ყოველივე როგორც რიგია,
ისეა.. მაგრამ ეს, ეს სტუმარი....

სვიმონ.

ეკ თქვენმა ქალმა თვით დაჰპატიუა.

მანასე.

არა მგონია! ნუთუ ჯერ კიდევ
არ გაუგია ჩემს ქალს იმისი
უბედურება?

სვიმონ.

შენი ქალიც
აგერა მოდის; თვითონ მას ჰკითხე. (გადის).

გამოსვლა მეორე.

მანასე და ივლითა.

ძლივს! მამაკეილა განა იქნება
ამდენს ხანს მარტო ჩვენი დაგდება?
დრო არის ახლა შენც გაიცალე
ამსტერდამის ბირჟისა მტკერი!

მანასე.

რა გამოვა, თუ სახლშია ჩრუნვა
არ მამშობდება?

ივლითა.

განა მეკვლისი

მეც, მამა, ისე აქ არ გაგმართე,
როგორათაც შენ გამართავ სოღმე
ჩვეულების-მებრ კვირაში ერთხელ?
განა მეც დღეს არ დაგპატიუე
ჩვეულებრივად შენი სტუმარი?

მანასე.

აკოსტა როგორღა დაჰპატიუე?

ივლითა.

ერთი კვირაა აქ არ უყოფილას!

მანასე.

განა მე შენ არ მოგწურე, რომ მას
მოკლის წყევლას სინაღლისა?

ივლითა.

მიეცა სწორედ მაგისტრის
დაჰპატიუე ის.

მანასე.

როცა მას სხვანი
კრიდებიან...

ივლითა.

მე კი მაგისტრის
კიანლოვებ მას.

მანასე.

მე იმედი მაქვს
იგი არ მოვა, რაგი მიხედება,
რომ მის ჰპატიუი თავაზს იყო
და ჩვენც გაგვიწიეს დიდს თავაზს
თუ რომ არ მოვაა..

ივლითა.

როდის აქეთი
განდა მანასე ღვთისა მოსავი?
როდის აქეთი სწამს სინაღლად
რუბენისისა და დიკას მეგობარს?

(უჩვენებს ხალში აღმართულს სტატუებსზედ).

ილიამ და სხვა წინასწარმეტყველთ
ის სტატუები არ დამსხვრიეს,
თუმც მათ უარ ჰყოფს ებრაელთ სჯული!
არა, არ მჯერა, რომ არა გქონდეს
იმდენი ძალა, გამბედაობა,
რომ თქვენს საფარველს ქვეშე მიიღოთ
უსუფლო მარმარილოს მაგივრად
ცოცხალი ხალხი!

მანასე.

მე აქ მიცნობენ
როგორათაც კაცს თავისუფლად
მოაზრეს და მოლაზარაკს,



ბიზლიროთიკა

და მით ვამაყობ, რომ განკითხვის დღეს *)
 ჯერ არავისა არ ვუნახავარ
 სინანულისა ტანისამოსით.
 მტერი სიძრუების და ბოროტების
 დიდისანია ცხადად ვეკუთვნი
 ამ თავისუფლად მოაზრეთ რიცხვსა,
 რომელიც მხოლოდ იმას ღებულაბს
 სოკრატის, მოსეს, ქრისტეს სწავლიდამ,
 რაც რომ ვარგია და სასარგებლო.
 მაგრამ რადესაც ასტუდება, ივლით,
 ერთი ჩხუბი და თავისა მტვრევა
 ძველის ცრუ-მოწმუნებისა გამო,
 რაიც სწამს ერსა იმავე თავიდამ,—
 მაშინ უმა კხდები საწმუნოების,
 რომელსაც ერთი თვით აღვარებს
 და ვარგანს ჩემს მოკვლეობას
 წინააღმდეგი ვერ გავუხდები...

ივლით.

ცხოვრების მტლანქს აქ ვატყვს სტემენ
 და მეტნიერს ვა სულ მოკლეობით
 კრიდებანი!..

მანასე.

ამბობენ, შეილო,
 ვითომ შენ იყო იმის მიზეზი,
 რომ ჩვენ ავალსა ასეთს ვტვივს გვეტმს...
 ორი რამ ჩემთვის ძვირფასია არი:
 შიშველად ჩემი ტბილი ოჯახი,
 მისი მშვიდობა, ბუნდერება.
 მუარედ ის ხმა, რომელსაც ერთ
 ეძახის ხოლმე «ხმას ერისას»;
 მის განიხილვაში მე არ შევდივარ,
 იგი არის—და მეც აწ იმასა
 ვუმოწმებელი.

ივლით.

მაშასადამე,
 აქ სიამართლე და ცხოვრების ცოდნა
 ერთის და იმავე გზით არ დადიან!

მანასე.

სასტიკი არის და უღმობელი
 ცხოვრება და მის ჩვეულებანი.
 შენ ჩვენის სჯულით იახლიწედ
 დიდისანია დანიშნული ხარ
 და ამისთვის ორივე ერთად

თქვენს ნაცნობებს და ნათესავებს
 უნდა ეჩვენოთ...

ივლით.

და... უოკლეივე...

ეგ მასსრობა...

მანასე.

დღესვე...

ივლით.

ოჰ, მამა!

მანასე.

მეც ვიცი, ივლით, ბენ-იოხანი
 შენთვის არ არის ისეთი საქმრო,
 როგორიც ქება-ქებათაშია
 აწერილია. მაგრამ... ცხოვრების
 მოთხრობილება ასეთი არის!
 ხალხის წინაშე თქვენ უნდა წარსდგეთ
 ნაზად ხელი-ხელს ჩაკიდებულნი
 და შემდეგ თქვენი ანგარიშები
 თქვენს გულსა ჰკითხოთ...

ივლით.

და შენ გგონია

ეგ ანგარიში ადვილი იყოს,
 ვით ანგარიში თქვენის ვაჭრობის?

მანასე.

ვარგია! კმარა! დღეს ჩვენს მეჯლისში
 ავალსას უოფენა არ შეიძლება!
 მე არა ვსუძრობ! ნუ გამჯავრებს!
 ხომ იცო-მე არ მიეყვარს უჩინობა.

(მიდის ტერასზედ).

გამოსვლა მესამე.

ივლით (მარტო).

ოჰ, ცხოვრებაში გამოცდილება!
 მე შენ სრულიად ვერ მივსგედროვარ
 ვერცა გონებით და ვერცა გრძნობით!..
 ოჰ, ღმერთო ჩემო! რა წამებაა
 აჩვენო თავი მას ვითომ გიუყვარს,
 ვინც გოულს თავლისა დასახანავად
 და მას ვა, ვინც შენ მსურვალედ გიყვარს
 ისე მოექტე, თითქოს გოულს იგი!..
 მოდი... მესმის მე მისი ფეხის ხმა...
 აგერ ბადისა კარებსაც აღებს...



შესეთ რგორის ჩქარის ნაბიჯით
 მოდის ჩემთანა.., ჩემი ვარდები
 მას თავს უკრავენ ალერსიანად...
 ოჰ, ნუთუ ესლაც უნდა დაურჩე მე
 გულ-ცივის მამის გულ-ცივი ქალადა?
 ნეტა რა მიშლის, ან რა მამრკალებს
 ჩაეივრა იგი გულში მსურვალედ
 და ნეტარებით დამთვრალმა ვუთხრა:
 მიყვარხარ ესლაც, კვლავც მეუვარები!
 არა, სჩანს კიდევ ჩემს მღელვარე სულს
 სულ-მთკვლეობის ბორკილი აძევს...
 რომ მოუშვო შენს თავს უფლებას
 და სრულად მოსპო უთანხმოება—
 რას ამოხბს თვალი და გული რას გრძნობს,
 რას გრძნობს გული და პირი რას ამოხბს—
 ამისათვისა საჭირო არა
 გამბედაობა... მე არაფერი
 ჯერ არ მიქნია.. და კვლავ გაბუდავ...

გამოსვლა მეოთხე.
 ურიელ და ივლით.

ურიელ.

გულისა სწორა, მე აქ მოვედი
 მსოფლად იმისთვის, რომ შენ გინდოდა;
 იმედი მაქვს, რომ აქ სხვას არავის
 მე არა ვნახავ...

ივლით.

შენ აქ მოხვედი

მსოფლად იმისთვის, რომ მე მიხდოდი?
 მერე აგრეთი რა გაწყვიტე,
 რომ ამდენ ხანსა აღარა მნახე?..
 ოჰ, ღმერთო! შენზედ რა ხმები გინდა
 რომ ამ დღეებში არ გავიგონე!

ურიელ.

რამინებთან ბასსეგდ?..

ივლით.

რას დაგვეკ

მე შენს ბასსა და შენს რამინებს?
 არა, ურიელ! გაქცევა გწადდა?
 მითხარი, ნუთუ ეს მართლია?
 ნუთუ გინდოდა აგრე სასტიკად,
 ანაზღუელად წასვლა?

ურიელ.

დამშვიდდი.

ალერსიანს და მეგობრულს ბასს
 გთხოვ დახეობ ესლა შენ თავი.
 ისეთი იყავ, როგორც უნდა
 იყო შენ-ცოლი იოხანისა.
 ჩვენ ამაზედა ხომ არა ერთსულ
 გვისაუბრია და გვიტორია,—
 რაღად ესები ძველს გულის ტკივილს?

ივლით.

არა, არ მინდა, რომ უდრტინველი
 მოჩინდება მასწავლელ!

ურიელ

ივლით!

ივლით.

დაიდა, არ მინდა! მაკ სიმშვიდისთვის
 მე მოგიძულე...

ურიელ.

თვითონ შენც, ივლით,

იცი, რომ ხალხი დიდს ზატივსა სცემს
 ოჯახის უფროსს; მამა რომ იტყვის:
 მე მსურს—შვილიცა ბრძაღ ვიძინება.
 ჩვენი ცხოვრება - საშურლობილჯა
 კარებ დახშული...

ივლით.

ფოკალიზე კბ

აკოსტა მამინ სთქვა, როდესაც
 ემაკ შენისა იტყნეულებით
 მარტოვს სადმე იარებოდე!
 მაგრამ აქა, აქ, აი ამ ბაღში,
 სადაც შთამბერე სრულად ახალი
 და სოცარი ტკბილი ცხოვრება—
 მაგზედ შენ აქ ნურაფერს იტყვი!
 ოჰ, ურიელ, ჩვენ იმ სეივანში,
 სადაც მე და შენ სშირად ვიდოდით,
 ხან ერთს ყვავილსა და ხან მეორეს
 გიჩვენებდი მე... შენცა სინჯავდი
 და მათს სახელსა მეუბნებოდი.
 შენ საოცარსა რაღაც შუშაში
 შიგ მახელებდი და მიჩვენებდი



ეროვნული
გიგლიორთიქა

ბუნება სულს კითხვობრივად,
 ან რადენი ძალა იმდღის
 ტალღი, მუტალღი, მტენარეშია...
 ნუთუ ყველა ეს გაჭქრა, წავიდა?
 არა, ურთელ, ჯერ არ გამქრალა!
 შენ თვით აღმართე ჩემს წინაწე
 ციურთ ვიბე, — და აი ესლა,
 როცა დაფურინავ ცის სივრცეში
 და სული წმინდის სინათლით ბრწყინავს,
 შენ გსურს ეს ვიბე გამომაცალა?
 არა, მე უკან არ დავბრუნდები,
 არა, ხალხის ხმას მე არ აუყვები!

ურიელ.

ოჰ, ივლით. ივლით! ცხარის ცრემლებით
 ამ უვაილების ყველა ფურცელსეგ
 დაწერილია ყოველივე ის,
 რაც ვიყავით ჩვენ ერთმანეთისთვის..
 მაგრამ ეს ყველა მორჩა, დასრულდა...
 ჩემს თავს ჩავრაცხდი უღმობელ კაცად,
 რომ არ დამესმო მე უღრტინეკლად
 გუნესა სულისა და მიმეყვანე
 იქ, საც ორი გზა ერთად იურება
 და მეთქვა შენთვის: „ან დაიღუპე
 ანუ ერთ-ერთი ამოიჩინე!“
 იცნ შე ესლა მე რა მომეღის?
 სასჯელი, დეგნა და შეჩვენება!
 ივლით! შენ როდი უნდა გიყვარდეს
 დაწვევლილი და დეკნული კაცი!
 დიად, არ უნდა გიყვარდეს იგი
 თუმც მე ეს წყევლა სასახლოდ მჩანს,
 მაგრამ არავის ნებას არ მიეცემ,
 რომ იგი წყევლა შუა გამიყოს!

ივლით.

არა მგონია, რომ უკეთეს შვილთ
 თავისი კრი თვითონ სდვენადეს!

ურიელ.

არა გგონია, მაგრამ ზურა...
 უპირიფასესო შენ ჩემი ივლით... (ხელს დაუჭერს მას
 უკანასკნელად. ახლა მშვიდობით!

(დაინახავს მომავალს ბენ-იოხანის).

იოხანი აქ? და ეს სტუმრებიც?..
 მას აქ ჩვენ მარტო არა ვყოფილვართ...

მითხარი, ივლით, რას ნიშნავს ეს?
 ჰატვისა მტემენ?.. ამ ჭრულ ბჭბოსაცან
 ჰატვის ცრემა მე დამამტირებს!

გამოსვლა მერუთე.

ბენ-იოხანი, ამ რამდენიმე წამის წინად ტერასილამ ჩამოსული:
 მას მოსდევნ სტუმრები, სამეფლოსო ტანისამოსით და რთულ-
 ნი; რამდენიმე წამის შემდეგ გამოჩნდებიან მანასე და დე-სი-
 ლეა.

იოხანი (აქოსტას).

დახედე რა სნით გამოგვეთსოვე!
 მე ვი მეგონა, რომ აჭამდისინ
 ტეიდულებურგში იჭნებოდი შენ
 და სწავლიდი იქ მინდვრის ჩიტებს
 მსჯელობას..

ივლით.

ამას რა ეჭვარება,
 როდესაც აჭაც (უჩვენებს იოხანის შლიაპაზედ ფარშავან-
 გის ფროსას)

ფარშავანგები

ბლომად არიან, რომლებსაც სწავლა
 უურთ უნდათ და გამოადგებათ!
 ხელს დაუჭერს უროელს და ტერასზედ მიჰყავს. (შორიდა)
 მუსიკის სმა ისმის).

იოხანი (მარტო).

ივლით, შენ ხომ მე აწ გადმომხედე
 გორბის გულის მძულვარებითა!
 ოჰ, რა ტკბილია ის შურის გება,
 რომელსაც თვითონ ბედი გვიგზავნის
 უხვად და ამით მოკალბობისგან
 გვისსნის, რომ თვითონ ჩვენვე აღვაგზნოთ
 მის ცრესლი... (მანასე და სილეა გამოჩნდებიან).

მანასე.

არა, არა მგონია!

სილეა.

ჯერ მოითმინე!

მანასე.

რა საშინელი

თავ-ხედობაა! მე მას სასტიკად
 აუუგრძალავი...

სილეა.

დამშვიდდი გიჯობს

და ესლაე წადი, რომ იქ სტუმარსა
 ცუდი ამბავი არ შეამთხვიონ.



მოთხრობანი

ლოთიკასის სკანდლი.

მოთხრობა ჩარლზ დიკენსისა

თარგმნილი ი. ხოჭეველისგან,

თამამად შეგვიძლია ვსაქვათ, რომ დიდი ქალაქები დიდ ქუჩებზე მოსიარულეთა შორის ერთი-ც არავენ იყო, მგონივ, იმისთანა, რომ ვერ მოიგონოს იმ ერთი შეხედვით ცნობილ პირებში ვინმე საზიზღარი და საწყალი შეხედულობის კაცი, რომელსაც ის წინეთ სულ სხვა ყოფაში იცნობდა და ჰხედავდა ხოლმე, თუ როგორ ნელ-ნელა ეცემოდა ძირს, სანამ მისი სახე, სრულებით დამანქული, სასმელებით გაჟღინთული, გამოიწვევდა შეხედვის დროს გულის-ამრევე გრძობას. ვისც ხშირად უვლია ხახლში, ან ვისაც თავის სამსახურის ანუ ხელობის გამო საქმე დაუჭერია მრავალ სხვა-და-სხვა გვარი პირებთან, იმისათვის ძნელი არაა გაიხსენოს ის დრო, როცა ეს ქუჩიანი, დაუღეთილ ტანისამოსიანი გლახაკი, რომელმაც ეს-ეს არის გვერდზე გაურბინა მას, იყო ერთ დროს პატივცემულ, ჰინებულ ვაჭარად, ან მწერლად, ან მოხელედ კარგს ადგილზე და საკმაო საშვალზე-თ. დიად, განა გაუჭირდება თითოეულს ჩვენს მკითხველს გაიხსენოს თავის ნაცნობების წრეში რომელიმე გაღატაკებული, დაცემული კაცი, რომელსაც ქუჩაში ყველა თვალს არიდებს და რომელიც, ღმერთმა უწყის მარტო, რა ცბიერებით ცდილობს თავი დაიხსნას გაუმაძლარი სიკვდილისაგან? ამგვარი შემთხვევანი ისე ხშირია, რომ ყველა დაუჭირდება და მათ; ყველა ამ შემთხვევებს უმეტეს ნაწილად ფესვიები მაგრად გამდგარი აქვს ერთს მიზეზში—ლოთობაში; ამ გამძვინარებულ გულის—ნდობაში, ამ ნამდვილი საწამლაფისადმი საშინელ ღატოლვაში, რომელიც ისე სჩაგრავს და სძლევს ადამიანის სხვა ყველა ძალებს და მოსაზრებას, რომ ამ გულის ნდობის (ენების) მსხვერპლი ჰკარგავს და ჰღუპავს ცოლს, შვილებს, მეგობრებს, კეთილ სახელს და ყოველივე ამ სოფლიური ბედნიერებას და ჰხდება ძალიან მალე განკიცხვის და სიკვდილის დავლად.

ზოგიერთს ამ ბედ-შავებს ბიწიერებამდის მიიყვანს ხოლმე რამე უბედურება და გაჭირება. ამ სოფლის ანგარიშების და იმედების გამტყუნება; საყვარელი პირების სამუდამოდ მოშორება, მწუხარება, რომელიც მათ გულს უწვლილებს და ართმევს თავის-შეკავების და ჭირში გამაგრების ძალას, ყველა ესენი ჰკუთვნებას უკარგავს მათ. იგინი წარმოადგენენ

საკვირველ სახეს გაგიჟებულებისას, რომელიც თავი-ვე ხელით თავს იკვლენ. მაგრამ უმეტესობა კი მათგანი სრულებით შეგნებულად და თვალ-გახელილად ქვესკნელში, ვარდებიან საიდგანაც, ზოგიერთ გარდა, ველარენ ვერ ამოდის და მხოლოდ უფრო ღრმად და უიშვლოთ შესტოპავს ხოლმე უფსკრულ სიღრმეში.

სწორედ ამგვარი საცოდავი კაცი იდგა თავის მომაკვდავი ცოლის სარეცელთან; შეილები გარშემო ეხვიენენ მას მუხლ-მოპყრობილნი და მხოლოდ ხანდისხან ჩუმის ქვითინით შესწუვებდნენ თავის უმანკო ლოცვას ყოველად-შემძლებელისადმი. სადგომი ოთახი ძალიან ღარიბად იყო მორთული; საკმაო იყო ერთი შეხედვა მკრთალ პირის-სახეზე რომელზედაც სიცოცხლის ლამპარი ჰქრებოდა, რომ გაგვეგოთ თუ როგორ უეწუვებულად ჰღრნიდა მის გულს მრავალ წელს ჯავრი და მაშფოთებელი ზრუნვები. ცრემლებით დასველებულ ბებერს ეჭირა ხელში თავი მომაკვდავი ქალი-შვილია, იმის (ბებერის) ხელებს არ უჭერდნენ გაცივებული და მოკანკალე თითები სულთ მოძოავისა, ისინი უჭერდნენ მაგრად ქმრის ხელს, იმაზევე ისვენებდნენ მიზრეტილი თვალები ავათმყოფისა, ქმარი კი ჰკანკალებდა ამის შეხედვით. ამ უკანასკნელის სამოსელია ტალახიანი და ჰუჭიანი იყო, პირის-სახეზე აღმური ადიოდა, თვალები დასისხლიანებული და დასივებული ჰქონდა. ის, აქ თავის ცოლის საკაცესთან მოიყვანეს ერთი სახიფათო სალოთო ადგილიდამ.

ლოგინის წინ იდგა სახურავით ქალფაქით ლამპა, რომელიც მკრთალად ანათებდა იქ მყოფთ პირების სახეს, დანაჩენს ოთახის ნაწილს ხომ სულ ბნელ და შავ ჩრდილში სტოვებდა. კედლების უკან ღამის სიჩუმე სუფევდ, ოთახში სამარცხებრივი ღუმელი იყო. ბუხარზე კედლის საათი ეკიდა; მხოლოდ იმისი წყნარი ტიკტიკი არღვევდა რღმა სიჩუმეს ოთახში, და ცხადად გაისმოდა ეს იქ მყოფთა ყურებში, რადგანაც მათ კარგად იცოდნენ, რომ ერთი საათი კიდევ და ის უკანაქნელს წუთს ჩამოჰკარავს ავად-მყოფის სულის საიქიოს გამგზავრებისა.

საშიშარი რამეა სიკვდილის მოახლოების ლოდინი, მეტადრე მაშინ, როცა ყოველივე იმედი დაკარგულია, მოჩენა შეუძლებელია; შენ კი უნდა იჯდე და სთვალო საათები იმ უშველებელ გრძელ და ბნელ ღამეებში. ყმაწვილები ისევე მუხლ-მოდრეკილი და სულ-განაბულნი ეხვიენენ ავად-მყო-

ფის ლოგინს. მარტო იმათი თავ-შეკავებული ქებით-ნი და ოხერა არღვევდა ისეც განმარტოებული ოთახის მყუდროებას. მომაკვდავის ენა აღარ მოჰქმედებდა. ბოლოს, როცა მისი ხელი საბანზე დაეცა მოსხლეტილი, შეიღებაც მოაშორა თვალები და ამით მამას გადაჰხედა, სრულიად ამოდ ცდილობდა ელაპარაკა, და გადაწვა ბალიშს, სრული სიჩუმე და მშვიდობიანობა ჩამოვარდა, გვეგონებოდათ—ავად-მყოფმა მიიძინაო. შეიღები შემოეხეინენ და დაუწყეს ძახილი ჯერ ჩუმად, შემდეგ ხმა მალდა, და ბოლოს, გულის-წარმტაცებელი ღრიალი შეჰქნეს, მაგრამ პასუხი არ ისმოდა. ყური დაუგდეს სუნთქვას, ის უკვე მოსპობილიყო, — გულის-ცემა, მაგრამ არც ეს თრთოდა. ის გული გასქდა და წვალებული გარდაიცვალა. ქმარი დაეცა სარეცელთან სკაპზე და ხელები მოიკიდა თავის ანთებულ შუბლზე. იგი რიგ-რიგად შეჰქურებდა თავის ბალებს; მაგრამ როცა იმისი თვალები შეჰხედებოდა ყმაწვილების ტარილით დასივებულ თვალებს, ის როგორღაც უნებლოდ შეჰკრთებოდა. მის ყურებს არ ესმოდა სანუგეშო სიტყვა, არაფერ მოაღერსე თვალთ არ უყურებდა. ყველა მას შიშით უცვლიდა გზას; ბოლოს, როცა ოთახიდან წაწოხმანდა, იმას უკან არეინ არ გაჰყოლია იმისთანა ბედის-წერაში სანუგეშებლად. იყო დრო, როცა იმას აუარებელი მეგობრები ჰქრსაც უყოფდნენ და ღხინსაც. სად გაჰქრნენ ეხლა ისინი? ერთი მეორის მიყოლით ნათესავეები, მეგობრები და ნაცნობები შემოეცალნენ და სამუდამოდ ხელიაიდეს ამ ლოთზე. მხოლოდ, ცოლი იყო მუდამ მისი ერთ-გული ყოველ საქროებაში და ავადმყოფობაში; ბოლოს როგორ გადაუხადა ეს თავ-განწირულმა? გარყვნილ-გაქსუებული სირაჯ-ხანიდამ მხოლოდ იმისთვის მოეთრია ცოლის სარეცელთან, რომ დაეცხა როგორ მოჰქედებოდა იგი?

იგი საჩქაროდ გამოვარდა სახლიდან და გაიქცა ქუჩა-ქუჩა. სინილის მხილება, შიში, სირცხვილი — ყველა ეს იმას თავზე დაეყარა. შეზარბოშებული და სახლში ნანახით თავბრუ-დასხმული ის იმ ტრახტირისაკენ გაემართა, საიდგანაც წელან მოვიდა: ჰიქები მოუსვენებლად იცლებოდნენ. სისხლი იმას ცეცხლად გადაექცა ძარღვებში და თავბრუ-დაესხა. „მოჰკვდა!... ჩვენ ხომ ყველა მოეჰკვდებით, და ის ვითომ რატომ არ უნდა მოეკვდარიყო? ის ძალიან კარგი ქალი იყო მისთვის. ამას ხშირად ქალის მშობლებიც ამბობდნენ. ეჰ, ეშმაკმა დასწყევლოს იმათი

თავი! განა მაგათ არ გადაადდეს მარტო-საყვარად მწუხარება-ვაებაში? დაეხსენ: ის მოკვდა! შეიძლება ბედნიერი იყო! კიდევ ერთი ჰიქა, კიდევ ერთი ურ-რა! ღვინოშია სიცოცხლე და რატომ არ უნდა ასარგებლოს იმანაც ამით?..“

დრო მიდიოდა; სამი მისი ყმაწვილი მიდიოდნენ; მამა ისეც გაუსწორებელი, მოუქცეველი ლოთი დარჩა, მაგრამ ეხლა იგი უფრო გარყვნილად და საწყლად გამოიყურებოდა. ქუჩაში მოწანწალე შეიღებმა კაი ხანია. მამას თავი დაანებეს, მარტო ქალი-შვილი-ღა დარჩა მსთან, რომელიც დღე და ღამე მუშაობდა და მამა შეიღეს ხშირად თხოვნით თუ ცემა-თრევით წაგლეჯდა რამეს ღვინის „გადასაკრავად“. ასე მიმდინარეობდა მისი ცხოვრება და ეს ცხოვრება მისთვის სასიამოვნო იყო.

ერთხელ საღამოს ცხრა საათზე, რადგანაც ქალი-შვილი მისი დიდი ხანი ლოგინად ეგდო, და მამასადამე ფული არ უქაჰანებდა ჯიბეში; იგი სირაჯ-ხანიდამ შინ მოდიოდა. გზაზე სულ იმაზე ჰფიქრობდა, რამ თუ ქალი-შვილმა როგორმე ფულის მოგნა შეიძლო თავის შრომით, მაშინ უნდა წავიდეს სოფლის ექიმთან და ერთი რამე მაინც დაეკითხოს და შეიტყოს არის რამე საჭირო თუ არა ქალი-შვილისათვის, რომლისათვისაც მას აქამომდე ყურადღება არ მიუქცევია. ქრისტეშობისთვის შფოთიანი და წვიმიანი ღამე იყო. იმან გამვლელს გამოსტყუა რალაც გროშები, იყიდა ჰური და გაეჩქარა შინისაკენ. ლონდონში ტემზია ერთს ნაპირზე მიჯგუფულა მრავალი ბნელი და ვიწრო ჰქრების ბოლოები დიდ ეზოებში შესავალი: აი, ერთ ამ ეზოთაკენ გაემართა მაწანწალა. იმ ადგილის ტალახი და სახლების საცოდავი შეხედულობა სწორედ აზრადაც ძნელი წარმოსადგენია. თითოეულ ამ ბუნაგ-სახლებიდან მუდამ დღე ხმაურობა და ღანძლე-გინება გამოისმის.

ქარს თუ ვილაც სიბნელის მოყვარეს გაექრო ერთად-ერთი ფარანი, მარე-მარეში; მარტო ზოგიერ-ბედნიერების ფანჯრები მოჩანდნენ ბუნდად განათებული; ნახევრად დანგრეული სახლებში ქარი ზუზუნებდა; კარებს და ანჯამებში ფანჯრის დარაბებს ჰრიალი გაჰქონდა; ჩარჩოებში შუშები ძაძვაგობდნენ; ერთი სიტყვით, აღამიანს ეგონებოდა ქალაქის უბანი სადაც არის ჩაიგრევაო.

ბნელაში ის კიდევ შემოთ წავიდა; გზაზე ხან სახლის საწვიმარ მილს დაეტაკებოდა და ხან რას; ბოლოს მიადგა უკანასკნელ სახლს: კარი, ანუ უკე-

ქართული
ლიტერატურის
მემორიალი

თა ვსტქვათ, რაც კრისიე მაგირა დარჩენილიყო იქ მცხოვრებთ სიადვილი ათვის სრულიად გაიღო. ის შეუტყუტდა მალა ცოცაბო კიბეზე, რომელსაც სახლის ზემო სართულში აჰყავდა კაცი. ბოლოს, როგორც იქნა, გაჩნდა რამოდენიმე ნაბიჯზე თავის ოთახიდან, რომელიც უკებ გაიღო და იქიდგან მშინ-შრულად გამოიციქირა გასათხოვარმა ქალმა საცოდ-ავი, გაქხლარი სახით, თან ჩამოღვეთებულ სანთელს ეფარებოდა.

— ეს შენა ხარ მამა? ჰკითხა საწყალმა ქალმა.

— მაშ ვინ იქნება? გააწყვეტინა გულ-ნაწყენად მამამ, — რას ჰკანკალვებ?... დღეს მე ცოტა მომივიდა ღვინის „გადაკვრა“, ხომ იცი უფულოდ ღვინოს და უმუშაოდ ფულს არ იძლევიან! ეს რა ეშმაკი დაგ-მართნია, ი, გაფუჭებულო, შენა?

— მე უქეიფოთ ვარ, მამა, ძალიან უქეიფოა თა ვარ. — უპასუხა ქალმა და თან ცრემლები ჩამოჰყარა.

— ჰმმ... — წაიღმუილა იმ კაცის ხმით, რომელსაც უნდა გამოტყედს იმისთანა რამე უსიამოვნო საქმეში, რომლიდგანაც ის დიდის სიხარულით თავს იხსნიდა, რომ შეეძლოს, — შენ უსათუოდ უნდა მო-რჩე, იმისთვის რომ ჩვენ ფულები გვინდა. შედი სოფლის ექიმთან, ეგებ რამე წამალი მოგცეს! მად სადაგლებს ამისთვის აძლევენ ჯამაგირს. რას გაბტერ-დი კარებში? შედი რაღა შინ!

— მამა, — წაიჩურჩულა და გადაეღობა მას წინ, — ვილგელმი ისევ მოვიდა.

— ვინა? ჰკითხა მამამ წაბარბაცებით.

— ჩუ... ვილგელმია, ვილგელმი — ჩემი ძმა, — აუხსნა ქალიშვილმა.

— მერე რა უნდა? სტქვა მამამ თავშეკავებით: — ფულები, ჭიამა, სმა? მაშ ეს თუ ასეა, კარისათვის ვერ მიუგნია: მამე სანთელი!... სანთელი, შე ოხე-რო!.. მე იმას არაფერს არ უზამ გამოჰგლიჯა სან-თელი ხელიდან და შევიდა ოთახში.

დამტრეული სკამზე, ხელებზე თავ დაყრდობი-ლი ოცდარი წლის ახალ-გაზდა ჰაბუკი იჯდა და თვალზე გამოშტერებით ბუხარში გამქრალს ნაკვერჩხლებს შე-ჰყურებდა. იმან დაინახა თუ არა მამა, წამოხტა.

— კარი ჩაიკეტე, მამა, — უთხრა ჰაბუკმა დას- — შენ ისე მიტქერი, მამა, თითქო პირველად მხე-დავ ეხლა. მართლია, მას უკან რაც შენ გამაგდე დიდი ხანია და ადვილად შეგეძლო დაგიწყებოდი....

— მერე რა გინდა ახლა შენ? — ჰკითხა მამამ და დაჯდა. — რას ეძებ აქა?

— თავის შესაფარებელს, — უპასუხა შვილმა. მე უკანასკნელს მდგომარეობაში ვარ, ესეც საკმაოა. თუ ხელში ჩამიდგეს, ესეც ცხადია, ჩამომახიობენ. რომ მე დაუტრელს არ გამოშვებენ, თუ აქ ვერ დე-მალე, ესეც ნამდვილია. — ის ხომ არ გინდა მაგით სტქვა-ცარცვა ანუ მკლევლობა რამე ჩაიდინე ჰკითხა მამამ.

— დიად, ეგრე! შენ ეს ხომ არ გაკვირვებ?

მამამ თავის შვილის თვალებს ვერ გაუძლო და ი-ტაკს მიბაჯინა თვალები.

— შენი ძმები და სადღა არიან? დიდი ხნის სი-ჩუმის შემდეგ ჰკითხა მამამ.

— იქ არიან, საიდამაც ისინი შენ არასოდეს არ შეგაწუხებენ, — უპასუხა შვილმა: ლაქონი ამერიკაში წავიდა, გარრიკი მოჰკვდა.

— მოჰკვდა! — შეჰყვირა ძრწოლით, რომლის შეკავებაც მას არ შეეძლო. მოჰკვდა, — გაიმეორა ახალ გაზდა კაცმა, — მოჰკვდა ჩემ ხელებზე, როგორც ძალლი, ტყის მცველისაგან დაჭრილი. ძალზე წაბარ-ბაცდა, მე შევიკავე, მაგრამ სულ გავისვარე სისხლით ხელები. სისხლი, როგორც წყალი, ისე გადმოდიო-და გვერდიდან: ძმა ძალიან დასუსტდა და გულს ეყ-რებოდა, მაგრამ იმან მანც დაიჩოქა ბალახში და ევეღრეაოდა ღმერთს, რომ, მისი დედა თუ ზეცას არის, მოიხმინოს მისი ლოცვა უმცროსის შვილისა-თვის მიტყევაზე. „ვილლ, მე მისი საყვარელი შვი-ლი ვიყავი, — სტქვა მან, — სიხარულით ვიგონებ შემ-დეგსო: როდესაც დედა ჰკვდებოდა, მე თუმცა პაწაწა ვიყავი, მაგრამ მუხლმოდრეკილი ვიდექი მის სარე-ცელთან და მადლობას ვსწირავდი შემოქმედს, რომ იმან იმდენად ჩამინერგა გულში დედის სიყვარული, რომ ის ჩემი ცუდი ქცევით არაოდეს არ ამიტრე-ბია... აჰ, ვილლ, ის რატომ მოჰკვდა და მამაჩემი კი ცოცხალი დარჩა!“ ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, მამა, და შენ ეხლა როგორც გინდა ისე გაიგე. შენ იმას, როცა გადაკრულში იყავი, — ცხვირ-პირში სცემე, ამის შემდეგ, გახსოვს, ჩვენ გავიქცით, და აი ეხლა რით გათავდა ყველაფერი!..

პატარა ქალი მწარედ ქვითინებდა, მამას ხელები დაეფარა პირზე და ირწეოდა ხან აქეთ და ხან იქით.

— თუ ჩამიდგეს ხელში, — გააგრძელა შვილ-მა, — საღრჩობელა არ ამცილდება, მე მოჰკვალი ტყის-მცველი. აქ ისინი ვერ მოგაგნებენ, თუ შენ არ გამცემ, მამა; სანამ შემთხვევა არ მექნება გაქცევისა მე შენთან დავიძალები.

(გაგრძელება.)



პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

რადენიმი მოსახრება

შოთა რუსთველზე.

საქართველოს მესტორიებს და არხეოლოგებს მრავალი შეანიშნავი საგნები აქვსთ გასარჩევ-გასარკვევი და ერთი ამ მრავალთაგანი არის ბრწყინვალე „ვეფხისტყაოსნის“ დამწერის სახელია და გვარის გამოჩნევა, გამოძებნა და ნამდვილის და სწორე ქეშმარიტის ისტორიულის ცნობები მეოხებით სიმართლის აღდგენა და დამტკიცება. უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს ცხოვრებაში და მოქმედებაში, თუმცა შოთა რუსთველის სახელია და გვარის გამოკვლევას და აღდგენას მაინც ისეთი დიდი-რამ მნიშვნელობა არა აქვს და ჩვენთვის კაცს ნაშრომი საჭირო და არა მისი სახელი, მაგრამ რაც უნდა იყოს, ყოველს შემთხვევაში, ჩვენთვის არამც თუ რუსთველის ნამდვილი სახელისა და გვარის ცოდნა არის საჭირო, არამედ რუსთველის ყოველი ის უბრალო ცნობებიც კი საყურადღებოთ უნდა მივიღოთ, რაც კი რუსთველის ბურჟუაზი მოკვლას ცხოვრებას შეეხება და შეემატება რამე რუსთველის ცხოვრების და მწერლობის ცნობებს ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინემც მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეში საქართველოს ძველის დროის, თავდაზნაურებით გამოჩვენებას და მონასტერ-ციხე-კოშკების გაგრეცვლებას.

რუსთველი არის წარმომადგენელი მართლის მეთორმეტე საუკუნისა, იგი არის საქართველოს მართლი წარსულის სიმდიდრე, გონებრივი ძალა და უნდა ისიც ვსთქვათ, რომ რუსთველი არ წარმოდგენს ჩვენს განსაკუთრებითი კუთვნილებას, იგი არის საზოგადო, იგი არ ეკუთვნის ერთ რომელიმე განცალკევებულს ტომს, ის ეკუთვნის მართლს დედა-მიწის მცხოვრებთ, მართლს კაცობრიობასა.

რუსთველის მცირე ხნის შემდეგ დროის დანტევა თუ დღეს მნიშვნელობას აძლევენ და საყურადღებოთ სთელიან მართლის კაცობრიობისათვის და აფასებენ მას ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ დაფასებასთან მას. ბევრს ნაკლებევენებას და უსარგებლობასაც სწამებენ, ამან თავის თხუზულებით ხალხს ვნება უფრო დიდი მოუტანა, ვინემც სარგებლობა, ამის თხუზულებამ ხალხის სულსა და გულსა უფრო მესტიკური მიმართულება მისცა და მით ერთი ათად უფრო დააბნელა, და მოშხამა მათი გრძობა და

პაზროვნება. ასევე ესაყვედურებიან ინტელისტიკოსებს „გაზული სამოთხის“ დამწერს მილტონს. 1) რუსთველში კი დანტეს ნაკლებევენების მ.გაგას ჩვენ ვერას ვბოვებთ. იმასაც მოუბრძობივ ვიტყვათ, რომ ოდესმე თუ ვერობივთ ხერიანად გაიცენეს რუსთველი, მაშინ მას უფრო მეტ ღირსებას მისცემენ, მიწამ სხვებს; მაგრამ რუსთველს ცხოვრების და სახელ-გვარის უცნობლობის შესახებ ჩვენ კი დიდად გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ ჩვენის ერთად ერთის გონებით წარმომადგენი კაცის შესახებ ვერც სახელი დავიცეთ, ვერც გვარი და ვერც ცხოვრების ცნობები შევკრიბეთ და გადავეციოთ მათ ი.ე. როგორც რივი და წესია. ინტელისელთ თავიანთ ხელოვნების წარმომადგენის შექპირის კაბინეთიც კი დაიცვეს აქამდის; გამოჩენილმა და პატივცემულმა ბელინსკიმ რუსის პოეტის პუშკინის არამც თუ ცხოვრების წერალმან ცნობებს მაქცია ყურადღება და საჭიროდ დაინახა, არამედ ის განცხადებებიც კი მნიშვნელობიანთ ჩასთვალა, რაც კი პუშკინს უწერია და უბეჭდავს როგორც თავისგან დაარსებულს ჟურნალს „სოვრემენიკში“ 2838 წ. ისევე სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ჩვენ, საქართველოს, გამოჩენილის და უძველესის დროის ერთათ-ერთი განთქმულის უხუცესის პოეტის სახელი და გვარიც რომ არ ვიცოდეთ, მე მგონია, რომ ეს კი მეტის მეტი საზრახი უნდა იყოს ჩვენთვის, თორემ სხვა ცნობებს ვინ ეძებს და ან ჩივის.

შოთა რუსთველის სახელისა და გვარის შესახებ ჩვენს ძველსა და ახალს მწერლობაში თითქმის რომ არაფერია დარჩენილი. რუსთველის სახელი სადმე ძველს წიგნებში თუ არის მოხსენებული, ისიც ბრწყინვალე „ვეფხისტყაოსნის“ მეოხებით, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შოთა რუსთველმა დასწერა, ამით თავადებამთელი საქართველოს ძველი მწერლობის ცნობები ისეთი კაცის შესახებ, რომელმაც ჩვენ დავგუტოვა შესანიშნავი თხუზულება „ვეფხისტყაოსნის“ და რომლის დამწერიც შედარებით ბევრს შესანიშნავ პოეტებზე მაღლა სდგას; ამისთანა კაცის ცხოვრებას საქართველოს მატთანე თითქმის სულაც არ შეეხება და ორიოდ ცნობის გარეშე თითქმის ნამდვილს სახელს და გვარსაც არ გვაუწყებს. ამ გვარი უყურადღებოთ თვით გამოჩენილ მწიგნობარ ვახტანგ მეფესაც ეტყობა. ვახტანგ მეფე „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელის წინასიტყვაობაში, რომელიც მან 1710 წ. თვისგან გამოცემულს „ვეფხისტყაოსნის“ გაუკეთა, მასში რუსთველის შესახებ სიტყვასაც არ სწერს, ერთ

1) История умственного развития Европы 1866 г.





ალაგას მხოლოდ იმას მოიხსენებს, რომ გეონი რუსთველი დიდი კაცის შვილი იქნებოდაო. აი ეს არის ვახტანგის მთელი შრომა რუსთველის ცხოვრების შესახებ. სხვა ძველი მწერლები კი ამას უარს ჰყოფენ, და უწყიან, რომ რუსთველი დიდი კაცის შვილი არ იქნებოდაო, ამის საფუძველათ რუსთველს „ვეფხისტყაოსნის“ წარწერილი ეპიგრამა „ათასად გვარა დაფასდა“ მოჰყავსთ, ჩვენ კი უფრო ვახტანგ მეფის აზრს ვემოწმებთ.

ასე იყო და ასე აუასებდენ ძველად ჩვენი მამა-პაპები თავიანთ ღრობის გონებითი გახსნილ პირებს. ძველად ერთ რომელიმე ნაზირს უფრო მეტი პატივი და სახელი ჰქონდა, ვინემ რომელიმე მწიგნობარ პირსა, ამას ცხადათ გვიმტკიცებს არამც თუ მარტო „ვეფხისტყაოსნის“ დამწერის, შოთა რუსთველის ცხოვრების ცნობები, არამედ „ვისამიანის“ მთარგმნელის დავით საათაბაგოელის. „ამიან დაჰყვასის“ დამწერის მოსე ხონელის, ჩახრუხადის, შათთელის და „დიდამიანის“ დამწერის სარგის თმოგველის. მაშინდელი ღროს მწიგნობარ პირებს ასე დაუდევრათ უცქეროდენ იმ ღროს მვისტორიე პირები და ესევე დაუდევრობა გარდა იმის მიზეზად, რომ დღეს იმ კაცის სწორე სახელი და გვარიც კი არ ვიცით ჩვენ, რაზედაც ხშირად ვსწერთ; ესაუბრობთ, უცხოელთ თავს ეაწონებთ მით, ვმედიდურობთ და სხვა-და-სხვა ენებზედაც კი სთარგმინიან ზოგნი მაგრამ ამის შესახებ საუბარს ესტოვებ მე და უთმობ ნათ, ვინც საქართველოს ისტორიაში მცოდნეთ იოვლიან თავებს. ეს მით უფრო, რომ ამგვარი მათი ხელობა არის, რადგანაც საქართველოს ერს და მწერლობას ხშირად მოველინებიან ხოლმე იეთი პანეგრიტ მვისტორიე და მექორენი, როგორიც იყო პისარევის ბარონ ბრან ბეუსი, სენკოესკი, რომელმაც ქართველების ხსენება მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისამდის თითქმის რომ უარი ჰყო და გააქრო! ეს ვაჟ-ბატონი იმას ბრძანებდა, რომ ქართველი ტომის ხალხმა მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში მოიყარა თავიო და მხოლოდ ამ საუკუნეში აღორძინდა საქართველოშიო¹⁾ სენკოესკის ჰაზრით სწავლა განათლებით, მწერლობით და სიმდიდრით სომხები ბევრად მალლა სდგანან ქართველებზედაო. ამის შესახებ ჩვენც თანხმანი ვართ და სომხები ქართველებზე ბევრი რამით დგანან მალლა, მაგრამ ის კი ვერაფერი მოუვიდა სენკეესკის, რომ მან ასე შეურაცყოფით მოიხსენია ის ტომი, რომელიც ცნობილია ძველის ძველად ყოფილის ბიზანტიის და რომის ისტორიკო-

სების და პოეტების ნაწარმოებში. უნდა ვსთქვათ, რომ სენკოესკის ამ გვარი შენიშვნა საქართველოს ისტორიის მწერლობა ბროსსემ ერთობ საწყენოდ მიიღო და მის შემდეგ ბროსემ დაბეჭდა აკადემიის ბიულიტენში მრავალი ისტორიული და კრიტიკული სტატიები საქართველოს ერისა და მწერლობის შესახებ, რომლითაც სენკოესკის თხუზულებათა გამომცემლის სიტყვით ნათელი მოჰფინა ქართული ისტორიის და ლიტერატურის განვითარების საქმესო. გავიდა ხანი, გარდაიცვალა სენკოესკი და მის შემდეგ ამავე ასპარეზზე, ამ ბოლო ღროს, აღმოჩნდა სომხებთ გამოჩენილი ისტორიკოს პროფესორი პატკანოვი, რომელმაც თავის აზროვნებით სენკოესკის გადააჭარბა და საქართველოს ერს და მწერლობას ბევრ ნაირად გაჰკრა კლანჭები და გაჰკენწლა. სწორედ ამისებურათვე ისაუბრეს ამ ოთხი წლის წინათ თფილისის სომხურ გაზეთებში, რომ ქართველებს არა აქეთ მდიდარი წარსულიო, მაგრამ რას ჰგავს ეს და ან რა საკადრისია განათლებულ და პატიოსან პირთათვის. აქ ჩვენ კი დიდ მწუხარებას გამოვაცხადებთ ამაზე და საწყენათ კი არაფერს ვიტყვით, რადგანაც პირველი პროფესორი პატკანოვი ძველ თაობის კაცია, ამას ამ ქვეყნის არაფერი სწამს, ეს გადამკედარია ძველი მანუმენტების ქექვაში და მასთანავე აღბორცებული წმინდა მძალე პატრიოტულის მიმართულებით, რომლის მაგავს კაცებს დღეს თვით სომხის განათლებული ყმაწვილ-კაცობაც სდენენ და არცხვენს. ამგვარ მოწალმართე მეცნიერთ ამას გარდა შეიძლება, რომ ოდესმე ისეთი პირებიც აღმოჩნდნენ რომლებმაც პატკანოვის დამტკიცებებით მოითხოვეს, ის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილათ მეთორმეტე საუკუნის პოემა და ანუ ამ პოემის დამწერს რა ეწოდება ნამდვილ სახელად და გვარათა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პანეგრიტ მვისტორიეები მაშინ სიტყვასაც ვერ იტყვიან და თუ იტყვიან რამეს ის იქნება მხოლოდ ორიოდ ცნობა, რომ შოთა რუსთველი მეთორმეტე საუკუნეში სცხოვრებდა და „ვეფხისტყაოსნის“ დამწერაო. სხვა ცნობების შესახებ კაცი ვერას შეიტყობს რაც გინდა ცნობის მოყვარე იყოას.

1) Полное собрание сочин. Сенковскаго 59 г. Петербургъ
 2) Журналь Мин. нар. просвѣщенія за 1838 г.





რუსული თეატრი.

რუსული თეატრის საქმე როგორც მკითხველებს მოეჩვენებათ მეტად უფერულად მიდიოდა და ბოლოს საქმემ აქამდინ მიაღწია, რომ ბ-ნი ფითუაშვილმა ანტრეპრენიორობას თავი დანება და რუსეთის იღბლი დირექციის ხელში გადავიდა. მიზეზი ამისა იყო საზოგადოების გულ-გრილობა. საწყალი საზოგადოება! ყოველ შემთხვევაში საზოგადოებას ამტყუნებენ, ყოველისფერს მის გულ-გრილობას აბრალებენ. ეს შემცდარი აზრია. მართალია, საზოგადოებას არ ეზატიება, როდესაც იგი გულ-გრილად კედება ასეთს საქმეს როგორც აზრის თეატრი, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გულ-გრილობა შედეგია რაიმე მიზეზისა. მიზეზი კი ამ შემთხვევაში არის დასის უკარგობა. მსურველი თეატრში დადის სიამოვნების მიღებისათვის და როცა ფულს იძლევა იმიტომ კი არა რომ საქველ-მოქმედო განზრახვით იყოს გამსკვადული, არა, ქველ-მოქმედებას მაგ შემთხვევაში ადგილი აღარაქვს. თუ კი თეატრი რიგზედ არის დაყენებული და მართლა სიამოვნების წყაროდ არის გადაქცეული, მაშინ ხვენ დარწმუნებული ვართ საზოგადოებას საქმად გამიზნის თანაგრძობას და ბლადანც ივლის თეატრში. ბ-ნი ფითუაშვილის ანტრეპრენიორისა კი ამის მხრით თავის მოწონება არ შეუძლიან. ესაა ვინაობა როგორი გამგებლობის ნიჭს გამოიჩინეს თვითონ თეატრის დირექცია. დირექტორად ამ ყამად არის ბ-ნი რროკე. მოვიცადეთ— ვნახათ.

ვალდოვ—ია.

რამე-რსუბე

მეგობრების მუსაიფი.

ორი გერმანელი კომპოსანტი შესვდნენ ერთმანერთსა და ამ გვარი მუსაიფი გამართეს:

- ცოლიანი ხარ?
- კინ?
- შენ.
- მე?
- ჯო.
- კი.
- ჯას;
- შენ?
- კინ?
- შენ?

- მე?
- ჯო,
- არა.
- ჯოაა!

რომ იტყვიან ლაკონური მკვერ-მეტყველობა ან მოსსლეტილი ლაზარაკიო, სწორეთ ეს არის, არა ჰგავს ზოგერთთ ხვენ ასაღ-გაზღების ენა-წყვილისაბას.

კოლ-ქმრობის გმირი.

ერთ ვინმეს მეტად ანხლი ცოლი ჰყვანდა; ყოველ იმის ღანძლვა-გინებაზედ ქმარი განუძებული იყო.

— შენ სწორედ გეშინია შენი ცოლისა, უთხრას ერთხელ ერთმა მეგობარმა.


— შემცდარი ხარ. მე ამის კი არ გეშინიან, არამედ ამ აღაქმთისა, რომელსაც ის აყენებს ხელზე.

ქართული თეატრი მუთაისში.

კერას, 16 ნოემბერს, ვ. ვიტუშინსკის თეატრში ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილ იყო შ მოქმედობიანი კომედია სუნდუკიანცისა „პეპო“ და ვოდევილი „ცოლი თუ გინდათ ეს არის“! წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. უბილეთოთ არავინ ყოფილა, რადგანაც ვიტუშინსკიმ იმ გვართ მოაწყო თეატრი, რომ ძნელია უბილეთოთ შესვლა. პეპო ისე ვერ ითამაშეს როგორც საზოგადოება მოელოდა. ავერ მესამე თვეა, რაც ქუთაისში ყოველ თვეში ორჯერ წარმოდგენები იმართება ხოლმე და აქამდინ საზოგადოება კმაყოფილი რჩებოდა ქართული თეატრის რეჟისორ გამგებლობით, მაგრამ სამწუხაროდ წარსულ წარმოდგენამ ისე უგემურად ჩაიარა, რომ ცოტა არ იყოს გაგვაოცა. არც სცენა იყო კარგათ მოწყობილი და არც ტანსამოსი ჰქონდათ შესაფერისი, გარდა ამისა თითქმის არც ერთი მოთამაშე არ ყოფილა თავის ადგილას.

არუთინ ზიმზიმოვის როლს თამაშობდა გ. სპათაგორელი და უნდა გამოეტყდეთ თავის როლი ისე ვერ შეასრულა როგორც მოელოდით და იმედისა გექონდა, არც ჩაცმულობით და არც გარეგნობით არ ჰგვანდა სუნდუკიანცის ტიპსა, თუმცა ალა-ალაგ არა უჭირდა რა.

ფემიას როლს თამაშობდა მ. ქაჩუხაშვილისა. იმედია ეს არტისტი-ქალი შემდეგში გამოდგება, მაგრამ ვერ კიდევ ბევრი უნდა ეცადოს და იზრომოს... პეპოს როლს თამაშობდა ს. პავლევილი მაგრამ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ პეპოს როლი, ამ მოთამაშეს სრულებით არ უხდებოდა და ამიტომ საკვირველიც არ არის რომ კარგათ ვერ ითამაშა. ჩვენ ის გვაკვირვებს რად იყის-რა ბ. პაეღეშვილმა ისეთი როლი, რომლის შესრულების ძალ-ღონე არ მოსდევს.

პეპოს დედის როლს თამაშობდა ეფ. მესხის ასული. სამწუხაროდ ამ შესანიშნავმა ქუთაისის თეატრის მუშაკმა ვერ შეასრულა თავის როლი ისე, როგორც მის ნიჭს შეჰფეროდა. ვერც კილოთი, ვერც ხმით და ვერც მიხვრა მოხერხით ვერ ემსგავსებოდა სუნდუკიანცისაგან დახატულს შუშანიკს, პატივცემულს არტისტი ქალი არაფრად არ გვანდა მოხუცებულს.

კეკეს როლს თამაშობდა კნ. ვაჩნაძისა, კარგი, იქნებოდა, რომ კერვა მაინც მოეხერხებინა სცენაზე და ან თავი, ან ტანი ისე დაეჭირა, როგორც შეჰფერის ქალის კერვის დროს.

ერთობ სამწუხაროდ დავერჩა, რომ ბ. რიონელმა ითამაშა გიქოს როლი და თავისი ნიჭი დაჩრდილა. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რიონელს კიდევ ზელოს ამისთანა როლები, თორემ სრულებით თავს შეგვაძულვს. ნეტა რამ აიძულა იმისთანა კარგი არტისტი, რომ მოჰკიდა ხელი იმისთანა როლს, რომელსაც ამახედ უხვირო მოთამაშე უკეთ ითამაშებდა. ეს ამტკიცებს, რომ რიონელს ჯერ ვერ შეუფერია თავისი ამპლუა. სამსონის და გიგოლის როლების მოთამაშენი სხვა შემოხსენებულებზედ ნაკლებ არ თამაშობდნენ.

კაკულის როლს ასრულებდა გატირელი. რაც უსიამოვნობა შემოხსენებულ მოთამაშეთაგან მივიღეთ ის ყველაფერი დაგვაიწყა ბ. გატირელმა და მოგვხიბლა თავის ხელოვნურის თამაშით. სწორედ მაღლობის ღირსია იმისთანა პირი როგორც ბ. გატირელი, რომელიც საქმეს ემსახურება და არა ფულს სამწუხაროდ ასე უფეროდ ჩაიარა პეპომ. ამიტომ ერთი შენიშვნა თვით ბ. რეჟისორს: ნუ დასდგამს ასეთს პიესას, რომლის შესრულება და წარმოდგენა ყოველად შეუძლებელია ქუთაისის სცენაზე და ჩვენი დასის ძალით სულ დაგვაიწყა პეპომ. ერთ მოქმედებებზე ვოდევლიმა: „ცოლი თუ გინდა ეს არის.“ ძალიან მკვირცხლად და სასიამოვნოთ გაიარა. შეუდარებელი იყენენ დ. რიონელი დათიკოს როლში და ე. მესხის-ასული ანეტას როლში. კარგათ აგრეთვე ითამაშა ს. გატირელმაც ქარსიდის როლში.

შემდეგში კიდევ ვეცდები გაუაცნო „თეატრის“ მკითხველები ქუთაისის თეატრის საქმეს. —

ვინ—აე?

რედაქტორ-გამამცემელი ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

„თეატრის“ რედაქცია.

მომავლის წლისათვის განავრძობს ხელის მოწერის მიღებას.

გახეთი „თეატრის“ პროგრამა მომავლის წლისათვის ისევე ის დაჩრება, როგორც წინ-წლებში. დაიბეჭდებიან: სსვათა შორის მოთხრობანი როგორც ორგინალი აგრეთვე საუკეთესო უცხო თხზულებათა თარგმანები, პიესები: ვოდევლი, კომედიას და ტრეგედია, ანეკდოტები: მოსწრებული სიტყვები, გასართობენი სასაცილო ამბები და სხვა. გამოცანები; სალხური, სამატეპტიკო, საართმეთიკო; ანდაზები, იგავები ლექსები: კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; განჩევა პიესებისა და წარმოდგენებისა, რეცენსიები და სხვა.

ფასი გახეთისა წლით 5 მ. ნახევარწლით 3 მ.

გამოვიდა და ისეიდება ქუთაისში, ი. მურადოვის წიგნის მაღაზიაში

ქართული წერის დედანი

მ. შ ა ბ ი ზ შ ა ძ ი ს .

ფასი 30 კაპ.

ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეკემპლიარს იყიდის, ეკემპლიარი 24 კაპ. დაეთმობა და გაეკზავნება.

წერის დედანს შეადგენს: 1.) მსხვილი გადაბმული ხელი ბადეში თავის ელემენტებით; 2.) დაპატარავებული საშვალო გრვვალი ხელი უბადეთ ოთხს ხაზში; 3.) კადაბმული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამს ხაზში და 4.) კადასრილი (наклонный) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში-ჯერ კადაბმულად და შემდეგ სამს ხაზში კადაბმით. დედანს აქვს სულ 24 გვერდი.

ОБЪ ИЗДАНИИ ВЪ 1887 ГОДУ
ПОЛИТИКО-ЛИТЕРАТУРНО-ЮРИДИЧЕСКОЙ



კავკასიის
პოლიტიკური-
საზოგადოებრივი

газеты

„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(Бывшее «Юридическое обозрѣніе»)

годъ седьмой

Издавая въ теченіи шести лѣтъ „Юридическое Обозрѣніе“, посвященное изученію юридическихъ вопросовъ, судебной практики и правовой жизни, редакция журнала, въ виду нарождающихся потребностей, признала необходимымъ расширить программу и съ 1-го Января 1887 года издавать ежедневную политико-литературно-юридическую газету, подъ названіемъ „Кавказское Обозрѣніе“

Въ газетѣ примутъ участіе многіе столичные, иногородніе и мѣстные Кавказскіе корреспонденты и извѣстные писатели,—специалисты по разнымъ отдѣламъ изданія.

Газета будетъ выходить ежедневно, не исключая и послѣ-воскресныхъ дней, въ количествѣ 350 №№ въ годъ, въ форматѣ обыкновеннаго газетнаго листа, по слѣдующей программѣ:

1. Статьи по вопросамъ: а) теории и практики права и судопроизводства, экономическимъ финансовымъ, государственнымъ, международнымъ, общественнымъ, по обычному праву и статистикѣ; б) русской и иностранной общественной жизни, политики и литературы; и в) промышленнымъ: нефтяному, винодѣлю, шелководству, марганцовому дѣлу и др.—II. Обозрѣніе правительственныхъ распоряженій.—III. Судебное обозрѣніе (судебные отчеты и кассационныя рѣшенія).—IV. Общественное Обозрѣніе (отчеты о засѣданіяхъ общественныхъ собраній и ученыхъ обществъ).—V. Тифлисское и кавказской Обозрѣніе (новости и корреспонденціи).—VI. Русское Обозрѣніе.—VII. Иностранное Обозрѣніе.—VIII. Обозрѣніе русской и иностранной періодической печати; критика и библиографія.—IX. Торговопромышленное Обозрѣніе (торговопромышленныя свѣдѣнія и курсы).—X. Фельтонъ: романы, повѣсти, рассказы о явленіяхъ общественной жизни и стихотворенія.—XI. Послѣднія новости и телеграммы.—XII. Смѣль.—XIII. Театръ и музыка.—XIV. Справочный указатель (резолуціи Тифлискихъ судебныхъ установленій по дѣламъ апелляціоннымъ кассационнымъ и пр.).—XV. объявленія.

Условія подписки:

РЕДАКЦІЯ И АДМИНИСТРАЦІЯ ГАЗЕТЫ (для приѣма подписки, объявленій и разничной продажи)—ТИФЛИСЪ, Сололаки, Нагорная улица, д. № 21.

Подписная цѣна на газету (съ доставкою и пересылкою.).

Въ Россіи	Руб. коп.	За границею:	Руб. коп.
На 12-ть мѣсяцевъ	— 12 „	На годъ	— 19 „
— 6 — — —	— 6 50	— полъ года	— 10 „
— 3 — — —	— 3 50		
— 1 — — —	— 1 50		

для г. г. студентовъ годовая плата—9 р., съ разсрочкою: при подпискѣ, въ апрѣлѣ и августѣ по 3 р.

Отдѣльные №№ газеты по 5 коп.

ОБЪЯВЛЕНІЯ, за занимаемое мѣсто, строка петита 5 коп.; при неоднократныхъ объявленіяхъ, дѣлается скидка.

Подписка на газету и объявленія также принимаются: въ Тифлисѣ: въ типографіи „Кавказское Обозрѣніе“ (Дворцовая улица, каравансарай, бывшій Арцруни) и въ Центральной книжной торговлѣ, въ Петербургѣ и Москвѣ, въ книжныхъ магазинахъ: И.И. Анисимова и „Поваго Времени“, въ Харьковѣ—въ книжн. магаз. „Новаго Времени“, въ Одесѣ—у Распопова, въ Варшавѣ—у Райхмана и Френдлера и др.

При доставленіи въ редакцію экземпляра сочиненія юридического или иного содержания о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація

Редакторъ—издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.